ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7300130

ნომერი: AR11065198

თარიღი : 07.11.2024

გაცემის თარიღი : 26.11.2024

გაცნობის თარიღი : 27.11.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის ქუჩა, N 18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან პაპაშვილი პ/ნ 01004001829
- თბილისი ბარისახოს ქ. N 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 06 ნოემბერს № AR11065198 განცხადებით მომართა ლევან პაპაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებით №01.11.12.019.807 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებელს სურს სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებით შეთანხმებულ -2.80 ნიშნულის გეგმაზე ავტოსადგომის ინდივიდუალური სადგომებისა და სავალი ნაწილის ცალ-ცალკე დაფიქსირება. ამასთან, ითხოვს ავტოსადგომის ფართობად 325.5 კვ.მ-ის ნაცვლად 319.9 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 3202.5 კვ.მ-ის ნაცვლად 3196.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას. აგრეთვე, წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმის ჩანაცვლება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმა და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმა არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმაზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 319.9 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 3196.9 კვ.მ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებით შეთანხმებული -2.80 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულის გეგმით.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.